

ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ჰიქსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობას?

- ა. უპირატესობამ სამხედრო იარაღისა და საჭურველის მხრივ
- ბ. რელიგიური რეფორმის შემდეგ წარმოქმნილმა შიდა დაპირისპირებამ
- გ. ეგვიპტის კულტურულ-ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ
- დ. დიდი პირამიდების მშენებლობაზე მომუშავე მონათა აჯანყებამ

2. რომელ კუნძულზე მიმდინარეობდა ბრძოლები პელოპონესის ომის ერთ-ერთ ეტაპზე?

ა. სარდინიაზე

ბ. მალტაზე

გ. სიცილიაზე

დ. კორსიკაზე

3. რომელი გამოთქმა ეკუთვნის რომის რესპუბლიკის სენატორ კატონს?

ა. „წილი ნაყარია“

ბ. „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე“

გ. „კართაგენი უნდა დაინგრეს“

დ. „ცის კაბადონზე ორი მზე ვერ იქნება“

4. რომელი რომაელი სარდლების წინააღმდეგ მოუწია ბრძოლა მითრიდატე VI ეგპატორს?

- ა. მარიუსისა და სულას
- ბ. სულასა და პომპეუსის
- გ. პომპეუსისა და კრასუსის
- დ. კრასუსისა და მარიუსის

5. რა ეწოდებოდა ქართლის უზენაეს მმართველს VI-VII საუკუნეების მიჯნაზე?

ა. სპასპეტი

ბ. ერისმთავარი

გ. პიტიახში

დ. მამფალი

6. ვინ დაამარცხა არაბები პუატის ბრძოლაში 732 წელს?

ა. პიპინ მოკლემ

ბ. ლუი ღვთისმოსავმა

გ. ფილიპე ლამაზმა

დ. კარლოს მარტელმა

7. რა მიუთითებს დემეტრე I-ის მეფობისას სამეფოს შიგნით არსებულ დაძაბულ ვითარებაზე?

- ა. სამეფო ოჯახის წევრების გამოსვლები მეფის წინააღმდეგ
- ბ. მეფის დაპირისპირება თბილისის თვითმმართველ კომუნასთან
- გ. სამეფო დარბაზის წევრთა მიერ მეფისთვის დაუმორჩილებლობის გამოცხადება
- დ. დიდოელთა და ფხოველთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დაწყებული ამბოხი

8. რის საფუძველზე აცხადებდა გიორგი III-ის წინააღმდეგ ამბოხებული დემნა უფლისწული ტახტზე პრეტენზიას?

- ა. გიორგი III-ის ნახევარძმა იყო
- ბ. სამეფო დარბაზის საგანგებო გადაწყვეტილების
- გ. გიორგი III-ის უფროსი ძმის შვილი იყო
- დ. ხელმწიფის კარის გარიგების

9. რით არის მნიშვნელოვანი 1265 წელი ინგლისის ისტორიაში?

- ა. დასრულდა ანგლიკანური რეფორმაცია
- ბ. ტახტზე ავიდა ახალი სამეფო დინასტია
- გ. დაარსდა კემბრიჯის უნივერსიტეტი
- დ. შეიკრიბა პირველი პარლამენტი

10. რა იყო მონღოლთა მიერ XIII საუკუნის შუა ხანებში ჩატარებული აღწერის ერთ-ერთი მიზანი?

ა. ომების შედეგად მიღებული ზარალის აღნუსხვა

ბ. მოპოვებული ალაფის სამართლიანი განაწილება

გ. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება

დ. სახელმწიფოში არსებული კონფესიური ვითარების გარკვევა

11. რა ვერ აიცილა თავიდან მეფე გიორგი VIII-მ XV საუკუნის შუა ხანებში?

- ა. ერთიანი სამეფოს დაშლა
- ბ. მომთაბარეთა ჩამოსახლება
- გ. ოსმალთა შემოსევები
- დ. საეკლესიო განხეთქილება

12. რა მიზნით მოიწვია რომის პაპმა ტრიენტის საეკლესიო კრება?

- ა. ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად
- ბ. ევროპაში მიმდინარე რელიგიური ომების შესაჩერებლად
- გ. აღმოსავლურ ავტოკეფალურ ეკლესიებთან მოსალაპარაკებლად
- დ. რეფორმაციით დასუსტებული კათოლიკური ეკლესიის გასაძლიერებლად

13. რა დათმობაზე მოუწია წასვლა ანრი IV-ს, რათა ის საფრანგეთის მეფე გამხდარიყო?

ა. მიიღო კათოლიკობა

ბ. შეურიგდა ჰუგენოტებს

გ. აკრძალა იეზუიტთა ორდენი

დ. შემოიღო ღვთისმსახურება ლათინურ ენაზე

14. სად მდებარეობდა ინგლისელთა მიერ 1607 წელს დაარსებული კოლონია ჯეიმსთაუნი?

ა. ავსტრალიაში

ბ. სამხრეთ აფრიკაში

გ. ინდოეთში

დ. ჩრდილოეთ ამერიკაში

15. რა სახელით შევიდა ისტორიაში ჩარლზ I-ის მიერ 1640 წელს მოწვეული პარლამენტი?

ა. მორჩილი

ბ. ამბოხებული

გ. ხანგრძლივი

დ. უვადო

16. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა მიანიშნებდა საფრანგეთში სამეფო ხელისუფლების გაძლიერებაზე XVII საუკუნეში?

- ა. აღარ იწვევდნენ გენერალურ შტატებს
- ბ. გაუქმდა გრაფების მიერ მეფის არჩევის წესი
- გ. სამეფო რეზიდენცია გადავიდა ვერსალიდან პარიზში
- დ. მესამე წოდება უფლებრივად გაუთანაბრდა პირველ ორს

17. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა „საღვთო ლიგა“ XVII საუკუნის ბოლოს?

- ა. რუსეთის
- ბ. ოსმალეთის
- გ. საფრანგეთის
- დ. ირანის

18. რა უკავშირდება ვახტანგ VI-ის სახელს?

- ა. „ძეგლის დადების“ რედაქტირება
- ბ. „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნა
- გ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ გადაწერა
- დ. „დიდი კარაბადინის“ თარგმნა

19. რომელი ქვეყანა ითვლება აღორძინების (რენესანსის) სამშობლოდ და მთავარ ცენტრად?

ა. ავსტრია

ბ. გერმანია

გ. ესპანეთი

დ. იტალია

20. რა მიუთითებს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს სამეურნეო-ეკონომიკურ გაძლიერებაზე?

- ა. სამთამადნო წარმოების დაწყება და განვითარება
- ბ. გორსა და რუსთავში ახალი ქარხნების ამოქმედება
- გ. სამგორისა და ივრის სარწყავი არხების მშენებლობა
- დ. ახალი ნავთობსარეწების აღმოჩენა და ამოქმედება

21. რა იყო 1805 წელს გამართული ტრაფალგარის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი?

- ა. ინგლისელების მიერ ოქროს ყურის დაკარგვა
- ბ. პრუსიის ჯარის მიერ რაინის ზონის ოკუპაცია
- გ. ესპანეთის შემადგენლობაში სამხრეთ საფრანგეთის შესვლა
- დ. საფრანგეთის ჯარის ინგლისში გადასხმის გეგმის ჩაშლა

22. რა იყო აღმოსავლეთ საქართველოში 1804 და 1812 წლების აჯანყებების ერთ-ერთი მიზეზი?

- ა. არსებული კოლონიური პოლიტიკა
- ბ. ადგილობრივი ფეოდალების თვითნებობა
- გ. პროლეტარიატის მძიმე სოციალური პირობები
- დ. კერძო საკუთრებაში არსებული მიწების ჩამორთმევა

23. რა იყო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბერლინში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა?

- ა. ტაოს პროვინცია უბრუნდებოდა ოსმალეთს
- ბ. კლარჯეთის რეგიონი ცხადდებოდა ნეიტრალურ ზონად
- გ. არტაანში დროებით მყარდებოდა ორმხრივი მმართველობა
- დ. აჭარა გადადიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

24. რა ეწოდებოდა ორგანოს, რომელმაც 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა?

- ა. ამიერკავკასიის სეიმი
- ბ. ამიერკავკასიის სახალხო კრება
- გ. ამიერკავკასიის ხალხთა კომიტეტი
- დ. ამიერკავკასიის ინტერპარტიული საბჭო

25. საქართველოში მოპოვებული რომელი სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტი ხორციელდებოდა 1918-1921 წლებში, საიდანაც მიღებული შემოსავლის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხებოდა?

ა. ნავთობის

ბ. მანგანუმის

გ. ძვირფასი ლითონების

დ. მინერალური წყლების

26. რა ეწოდებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაწყებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ორგანოს?

- ა. საქართველოს თავისუფლების ლიგა
- ბ. საქართველოს აღორძინების კომიტეტი
- გ. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი
- დ. საქართველოს გათავისუფლების ორგანიზაცია

27. რატომ უჭერდა ქართველ ემიგრანტთა ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს მხარს გერმანიას?

ა. უმეტესობას განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და ბევრ იქაურ პოლიტიკოსსა და სამხედრო მოღვაწეს პირადად იცნობდნენ

ბ. მაღალი პოსტები ეკავათ გერმანიის ხელისუფლებაში მყოფ ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში

გ. გერმანიაში ცხოვრობდნენ და სახელმწიფოში არსებული ტოტალიტარული რეჟიმის გამო სხვა არჩევანი არ ქონდათ

დ. მიაჩნდათ, რომ გერმანიის გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას თავისთავად შეუწყობდა ხელს

28. რას გულისხმობდა ცივი ომის დროს შემუშავებული „მარშალის გეგმა“?

- ა. აშშ-ს მიერ მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას
- ბ. აფრიკისა და აზიის სახელმწიფოებში დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერას
- გ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩანაგებული ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ დახმარებას
- დ. საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდას მათთვის მეტი უფლებების მინიჭებით

29. რამ განაპირობა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს?

- ა. სახელმწიფოში დაწყებულმა მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაციამ
- ბ. ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების სურვილმა, თავი დაეღწია სსრკ-ს დიქტატისგან
- გ. სახელმწიფოში დაწყებულმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ჩეხებსა და სლოვაკებს შორის
- დ. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კომუნისტების წინააღმდეგ დაწყებულმა რეპრესიებმა

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნულ ეპოქასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ზავის დადება რიჩარდ ლომგულსა და სალადინს შორის
2. კლერმონის საეკლესიო კრება
3. ჰოსპიტალიერთა ორდენის დაარსება

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნის II ნახევარში გერმანიაში მომხდარი მოვლენები:

1. სედანის ბრძოლა
2. ბისმარკის დანიშვნა პრუსიის პრემიერ-მინისტრად
3. სადოვას ბრძოლა


32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1914-1918 წლებში მომხდარი მოვლენები:

1. სარიყამიშის ბრძოლა
2. ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა
3. აშშ-ს ჩაბმა მსოფლიო ომში


ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. №33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო №34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 33.



ილუსტრაციებზე ასახულია ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხედართმთავარი და მის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ერთი ეპიზოდი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **33.1.** რა ეწოდება მთებს, რომლებზე გადასვლაც ასახულია N1 ილუსტრაციაზე?
- (1) **33.2.** დაასახელეთ პიროვნება, რომელიც გამოსახულია N2 ილუსტრაციაზე.
- (1) **33.3.** რატომ აირჩია მხედართმთავარმა ლაშქრობისთვის სწორედ ეს რთული გზა?
- (1) **33.4.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიული მოვლენა, რომლის დროსაც განხორციელდა N1 ილუსტრაციაზე ასახული სამხედრო ოპერაცია?
- (1) **33.5.** რა შედეგით დასრულდა ისტორიული მოვლენა, რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო N1 ილუსტრაციაზე ასახული სამხედრო ოპერაცია?

დავალება 34.



ხმა მიეცით
საარჩევნო ბლოკს
„მრბკალი“
მაზიდა-
თავისუფალი
საქართველო“

ზვიად გამსახურდია —
საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **34.1.** რომელ პოლიტიკურ ორგანიზაციას უწევს პროპაგანდას ეს საარჩევნო პლაკატი?

(1) **34.2.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა იყო ამ პოლიტიკური ორგანიზაციის საბოლოო მიზანი?

(1) **34.3.** თქვენი აზრით, რატომ არის საარჩევნო პლაკატზე გამოსახული ზვიად გამსახურდია?

(1) **34.4.** რომელ წელს გაიმართა არჩევნები, რომლის სააგიტაციო პლაკატიცაა წარმოდგენილი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

დავალება 35.

XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაიძაბა ურთიერთობა ინგლისის პარლამენტსა და მეფეს შორის. პარლამენტართა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მეფის წინააღმდეგ ომის დაწყებას. მეორე ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ამ გადაწყვეტილებას.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მეფესთან ომის დაწყების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მეფესთან ომის დაწყების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

დავალება 36.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ნაწილმა სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ემიგრაციაში წამსვლელი პოლიტიკოსი საკუთარ გადაწყვეტილებას გაამართლებდა.


მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც სამშობლოში დამრჩენი პოლიტიკოსი საკუთარ გადაწყვეტილებას გაამართლებდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **37.2.** დაასახელეთ მეზობელი სახელმწიფო, რომლის მიერ მიტაცებული ერთ-ერთი ქართული პოლიტიკური ერთეულის ტერიტორიაც აღნიშნულია რუკაზე.

(1) **37.3.** რუკის მიხედვით, რა იყო კახეთის სამეფოს დედაქალაქი?

(1) **37.4.** რუკის მიხედვით, რომელი სამთავრო მდებარეობდა საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში?

(2) **37.5.** რუკის მიხედვით, რომელი ქართული სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა გარკვეული პერიოდი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია?

(2) **37.6.** დაასახელეთ ქართლის ორი მეფე, რომელიც მოღვაწეობდა იმ საუკუნეში, რომლის ვითარებაცაა რუკაზე ასახული.

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავლება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

„დავითის გამეფებისას აოხრებული იყო ქართლი და ციხეების გარდა, მოსახლეობა არსად იყო, არც ნაგებობა იდგა. იმ დროს ლიპარიტი განაგებდა თრიალეთსა და კლდეკარს და მის მიმდებარე მხარეებს და თითქოს ერთგული იყო მეფის. სამეფოს საზღვარი მაშინ ლიხის მთაზე გადიოდა. ასეთ ვითარებაში გავიდა ოთხი წელი. მოკვდა სულთანნი მალიქშაჰი და ლიპარიტმა იწყო თავის მამა-პაპათა კვალზე სიარული, შეუდგა ვერაგობას. მეფეთა ორგულობა და სიმულვილი გონებაში ჰქონდა გამჯდარი წინაპართაგან. დაინახა რა ეს დავითმა, ინება მისი დასჯა. გარკვეული დროით დაატყვევა, რაც საკმარისი იქნებოდა ჭკუის სასწავლებლად. შემდეგ ერთგულების ფიცის დამდები ლიპარიტი გაათავისუფლა და იგივე პატივი დაუტოვა. ლიპარიტმა გამოუცხადა დავითს

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მტრობა და მეფემ მეორე წელს კვლავ შეიპყრო, ორი წელი დატყვევებული ჰყავდა, შემდეგ კი საბერძნეთში გაგზავნა.

ამ დროს გამოვიდნენ ფრანგები, აიღეს იერუსალიმი და ღვთის შეწევნით აღორძინდა ქართლი, გაძლიერდა დავითი და გაამრავლა მხედრობა. აღარ გადაუხადა სულთანს ხარკი.

კახეთში კვირიკე მეფობდა. დავითმა წაართვა კვირიკეს ზედაზნის ციხე. ამავე წელს მოკვდა რატი ლიპარიტის ძე. ასე დასრულდა ბაღვაშთა გვარი, აღარავინ დარჩა მემკვიდრე და მათი მამული მეფემ შეიერთა.

ერთი წლის შემდეგ მიიცვალა მეფე კვირიკე. დასვეს კახთა მეფედ მისი ძმისწული აღსართანი, რომელსაც არ ჰქონდა მეფობის უნარი. იყო ავყია, უსჯულო,

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

უსამართლო და სრულიად განსხვავდებოდა თავისი მამის ძმისგან. აღსართანი ჰერმა დიდებულებმა არიშიანმა, ბარამმა და მათმა დედის ძმამ, ქავთარ ბარამის ძემ შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. აილო მეფემ კახეთი და ჰერეთი, ერწუხში დიდი ბრძოლა გადაიხადა და მოიპოვა დიდი გამარჯვება. თვით მეფე, როგორც ვინმე გარეშე, ზურგში კი არ ედგა თავის მეომრებს და შორიდან კი არ ამხნევებდა მათ, არამედ წინ მიუძღოდა და როგორც ლომი, მაღალი ხმით შეუძახებდა. ხმლით დახოცილთა სისხლით აევსო წელი, რაც ცხადი გახდა ომის დასრულებისას სარტყლის შეხსნის შემდეგ - იქიდან გადმოინთხა შესქელებული სისხლი, რომელიც თავიდან დავითის ეგონათ. იმ დღეს მეფეს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეზე ამხედრებულმა დაასრულა ომი.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გადაწყვიტა მეფემ მონასტრის აგება და ბრძანება გასცა, შენებას შესდგომოდნენ ღვთის მაღლით შერჩეულ უმშვენიერეს და ყველანაირად უნაკლო ადგილზე. შეკრიბა იქ თავიანთი პატიოსანი ცხოვრებით ცნობილი ადამიანები. ბალვაშთა მამული სხვა სოფლებთან ერთად უბოძა მონასტერს. ამჟამად ეს მონასტერი მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმია, ყოველნაირი სიკეთის მასწავლებელი ადგილი, სწავლულთა განმსწავლებელი მეორე ათენი.

ამ დრომდე ტფილისი, რუსთავი, სამშვილდე თურქების ხელში იყო. თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი ეახლენ მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელს და სიმარჯვით ჩაიგდეს ხელში სამშვილდე. ყველა დიდმა სიხარულმა მოიცვა, რადგან დღითიდღე ფართოვდებოდა სამეფოს საზღვრები.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

შეიტყვეს რა თურქებმა სამშვილდის აღება, მრავალი ციხე დატოვეს და გაიქცნენ. გიორგი ჭყონდიდელმა მეფის მუხრანში ყოფნისას რუსთავიც ჩაიგდო ხელში.

ტაოში თურქთა დიდი სიმრავლე იყო. მეფემ ასეთ ხერხს მიმართა: ქართლის მხედრობას მზადყოფნა უბრძანა, თვითონ კი ქუთაისში გადავიდა. ამით მტერს ეჭვი გაუქარწყლა. თებერვლის თვეში შეატყობინა ქართლებს და მესხებს, რომ კლარჯეთში დახვედროდენ მას. თვითონ კი შიდა ჯარით ჭოროხის ნაპირებით იარა. შეერთდა ჯარი და მოულოდნელად დაესხა მტერს. გაჟლიტეს ურიცხვი მტერი.

იმავე წელს მეფემ თავისი ასული კატაი გაგზავნა საბერძნეთში ბერძენთა მეფის რძლად. ამაზე ადრე კი პირმშო ასული თამარი გაგზავნილი ჰყავდა შარვანის დედოფლად.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

დავითმა აიღო გიშის ციხე. თავისი ძე დემეტრე ძლიერი მხედრობით გაგზავნა სალაშქროდ. დემეტრემ გასაკვირი ბრძოლა გადაიტანა, რითაც გააოცა მხილველნი და მსმენელნი. ძლევამოსილი წარსდგა მამის წინაშე.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

- (1) **38.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიული მოვლენა, რომლის გამოც დავითის გამეფებისას ქართლში მოსახლეობა არსად იყო „ციხეთა გარდა“?
- (1) **38.2.** თქვენი აზრით, რატომ დაუტოვა მეფემ გათავისუფლებულ ლიპარიტს „იგივე პატივი“?
- (1) **38.3.** რომელი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის დაწყებაზე საუბრობს მემატიაზე?
- (1) **38.4.** თქვენი აზრით, რა „ეჭვი გაუქარწყლდებოდათ“ თურქებს მეფის ქუთაისში გადასვლის შემდეგ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **38.5.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ დავითის ტახტზე ასვლისას სამეფო ხელისუფლება მეტწილად მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა?

(1) **38.6.** თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა დავითის მიერ ქალიშვილების სხვა სახელმწიფოებში გათხოვება?

(1) **38.7.** წყაროს მიხედვით, ჩამოთვალეთ ყველა ის თვისება, რის გამოც აღსართანი მეფობისთვის შეუფერებელი იყო.

(2) **38.8.** სრულად აღწერეთ, წყაროს მიხედვით რა მოიმოქმედა მეფემ მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ გათავისუფლებული ლიპარიტი კვლავ მტრობდა მას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **38.9.** წყაროს მიხედვით, რის საფუძველზე შეიერთა მეფემ ბაღვაშების მამული და რაში გამოიყენა შემდგომში ის?

(2) **38.10.** რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომლის დროსაც „გამოვიდნენ ფრანგნი“ და რატომ განაპირობა ამან, რომ დავითმა „აღარ გადაუხადა სულთანს ხარკი“?

(2) **38.11.** დაასახელეთ წყაროში არსებული ორი კონკრეტული ფაქტი, რომელიც მიუთითებს, რომ ერწუხში მეფე პირადად მონაწილეობდა ბრძოლაში.

(2) **38.12.** წყაროში აღწერილი რომელი ორი ამბის თხრობისას მოიხსენიებს მემატთანე მეფის რამდენიმე კონკრეტულ თანამოაზრესა და თანამებრძოლს ერთად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)